



ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 256

17 აგვისტო
“ --- ” ----- 2018 ♡

დ. თბილისი

ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩა №11-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.18.03.063.055) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნარიყალასთვის“ (ს/კ: 204380678) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122¹ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩა №11-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.063.055) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნარიყალასთვის“ (ს/ნ: 204380678) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 აგვისტოს №18.620.961 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩა №11-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.18.03.063.055) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნარიყალასთვის“ (ს/ნ: 204380678) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე